ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი I შესახვევი N29 საცხოვრებელი სახლის N62 ბინაზე, მოქალაქე გულადი წიქორიძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე გულადი წიქორიძის წარმომადგენლის ნანა სოხაძის განცხადება /2012 წლის 06.01 Nს–100/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი I შესახვევი N29 საცხოვრებელი სახლის N62 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე გულადი წიქორიძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი I შესახვევი N29 საცხოვრებელი სახლის N62 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გულადი წიქორიძეს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი I შესახვევი N29 საცხოვრებელი სახლის N62 ბინაზე /საერთო ფართობი 27,77 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 16,71 კვ.მ, დამხმარე ფართობი 11,06 კვ.მ./ მოქალაქე გულადი წიქორიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი — გ.თევდორაძე